SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396

იანვარი-თებერვალი | 2022

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

№15

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ქალაქის ამბები

„საქნახშირში“ თანამშრომლების გადამზადების პროგრამა მიმდინარეობს

გვ.2

გვ.5

გასულ წელს იმერეთში 2 368 პროექტი განხორციელდა

გვ.4

გაიცანით ჩვენი თანამშრომლები

გვ. 7

ტყიბულს მალე თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლა ექნება

„საქნახშირში“ თანამშრომლების გადამზადების პროგრამა მიმდინარეობს

შრომის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, "საქნახშირმა" თანამშრომლების გადამზადების პროგრამა დაიწყო. პროგრამის მიზანია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების მიმართულებით, რათა მეტად იყოს უზრუნველყოფილი სამუშაოების უსაფრთხოდ, წესების სრული დაცვით წარმოება.

გადამზადება ჩაუტარდებათ მოპოვების, მზადების, აფეთქებისა და სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს, ასევე შრომის უსაფრთხოების ინსპექტორებს. სწავლების მიმდინარეობისას, კომპანია თანამშრომლებს სწავლისთვის და გამოცდებისთვის აუცილებელი მასალებით უზრუნველყოფს. გადამზადების დასრულების შემდეგ, თანამშრომლების ცოდნა გამოცდის მეშვეობით შემოწმდება.

პროგრამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-საკვლევო საპროექტო ცენტრის "სამთო გეოლოგ პროექტი" ხელმძღვანელის და ამავე უნივერსიტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორის, გელა მაჩაიძის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

გელა მაჩაიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი:

"ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადო თავისი სამთო-გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობებით მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესია. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები განუწყვეტლივ იზრდება, ამიტომ, აუცილებელია დასაქმებული პერსონალის პერიოდულად გადამზადება, ასევე, ცოდნის შემოწმება შახტის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისთვის, სულ მცირე, 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო მუშებისათვის ყოველ 6 თვეში ერთხელ. როგორც შახტზე მომხდარი ავარიებისა და შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, ისინი განპირობებული იყო უსაფრთხოების ელემენტარული წესების დაუცველობით.

,,საქნახშირის" გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ღონისძიებების აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ სქელი ფენების ეფექტიანი დამუშავება ტექნიკური თვალსაზრისით რთული საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას კიდევ უფრო ართულებს ძლიერ დაახლოებული სქელი და საშუალოს სისქის, ციცაბოდ დახრილი, სამთო დარტყმების მხრივ საშიში და თვითაალებადი ფენები. ტყიბულ-შაორის საბადოზე ამჟამად მიმდინარე სამუშაოების წარმოებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- მოსამზადებელი და დამჭრელი გვირაბების დიდი მოცულობა. გართულებულია და ხშირ შემთხვევებში, ძლიერ საშიშია ძირითადი საწარმოო პროცესების წარმოება
- გართულებულია გაზ-გამოყოფისა და განიავების მართვა
- მნიშვნელოვანი მოცულობითაა საექსპლოატაციო დანაკარგები
- გაზრდილია ნახშირების თვითაალების საშიშროება და სხვ.

ტყიბულ-შაორის საბადოზე ფენების ჩაწოლის რთული გეომეტრია და პარამეტრები, გელოგიური აშლილობები (არა მარტო ზოგადად საბადოზე, არამედ, კონკრეტული შახტის ველებში და მისაღებ უბნებშიც კი) საბადოს სამთო-გეოლოგიური პირობების დეტალურ ანალიზს, ასევე დღემდე გამოყენებული დამუშავების სისტემების კრიტიკულ ანალიზს მოითხოვს. საბადოს ცალკეული ამოსაღები ველებისთვის სწორად უნდა იქნეს შერჩეული დამუშავების ოპტიმალური პარამეტრები და მკაცრად უნდა იქნეს გატარებული უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შემჭიდროებულ ვადებში უნდა მოხდეს შახტში დასაქმებული პერსონალის სწავლება და მათი ცოდნის დონის შემოწმება, რაც შემდგომში შახტაზე გასატარებელ უსაფრთხოების გეგმებსა და ღონისძიებებს განსაზღვრავს."

ბეჟან წაქაძე
ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი:

"მოხარული ვარ, რომ "საქნახშირის" ინიციატივით, შრომის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, შახტში დასაქმებული თანამშრომლების პროფესიული გადამზადების პროგრამა დაიწყო. მოგეხსენებათ, მეშახტეების როლი ჩვენი ქალაქის აღმშენებლობისთვის და აღორძინებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. თითოეული მეშახტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულებაა ჩვენთვის, ისინი წარმოადგენენ ტყიბულის მამოძრავებელ და მაცოცხლებელ ძალას!

პროფესიული გადამზადების პროგრამა საფუძველია იმისა, რომ თავიდან ავიცილოთ ისეთი უბედური შემთხვევები, როგორიც მოხდა 2022 წლის 30 იანვარს. სწორედ ამიტომ, გადამზადების მიზანია საწარმოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების მიმართულებით! ყოველივე სავალდებულოდ შესასრულებელი იქნება დასაქმებული პირებისთვის და მკაცრად გაკონტროლდება ხელძღვანელობის მიერ!"

დავით ჩერქეზიშვილი
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი:

"დღეს, ''საქნახშირში" უსაფრთხობის დაცვის უზრუნველყოფის საკითხების გაძლიერება ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ცხადია, შახტში დასაქმებული თანამშრომლების პროფესიული გადამზადება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რასაც მივესალმებით. ვთვლი, რომ პროფესიული გადამზადების მთავარი მიზნის შესრულებით კიდევ უფო მეტად ამაღლდება დასაქმებულების უნარები პროფესიული მიმართულებით, ასევე, კიდევ უფრო გაიზრდება თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ტყიბულისთვის ღირსების საკითხს წარმოადგენს ქვანახშირის მოპოვებითი საქმიანობა. ნებისმიერი ტყიბულელისთვის, თითოეული მეშახტის სიცოცხლე საკუთარი ოჯახის წევრის სიცოცხლესავით ძვირფასია. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალში არასოდეს გვექნება უბედური შემთხვევები, აღარ დაგვიდგება უსაფრთხოების დაცვის სისტემების აღსრულებასთან, მათ კონტროლსა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის საჭიროება. მჯერა, რომ თითოეული თანამშრომელი, განურჩევლად საკუთარი სამსახურეობრივი პოზიციისა, მაღალ დონეზე მოეკიდება უსაფრთხოების ნორმების სრულად დაცვის საკითხებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

მეშახტის საქმიანობა საყოველთაოდ აღიარებულია როგორც მაღალი ღირსებისა და გმირობის ტოლფასი პროფესია. მეშახტის საქმიანობა მეტად დაფასებულია იმიტომ, რომ ისინი თავისი ყოველდღიური საქმიანობისას უფრთხილდებიან ერთმანეთის სიცოცხლეს და ამავე დროს, ემსახურებიან საკუთარ ქვეყანას.

ჩვენს ღირსეულ მეშახტეებს ვუსურვებ უსაფრთხოდ მუშაობას, წარმატებულ საქმიანობას და კეთილდღეობას!"

პროფკავშირების გაერთიანების ინიციატივით მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი შეიქმნება

30 იანვარს მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივა გააჟღერა და აღნიშნა, რომ მიზანი უსაფრთხოების სისტემების მონიტორინგის გაძლიერებაა. მასში ჩართული იქნება როგორც "საქნახშირი," ისე შრომის ინსპექცია.

თამაზ დოლაბერიძე,
საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე:

"პირველ რიგში, საქართველოს პროფკავშირების თითოეული წევრის სახელით სამძიმარს ვუცხადებ გარდაცვლილი მეშახტის, ჭაბუკა სოფრომაძის ოჯახის წევრებს და ნათესავებს, ასევე შრომით კოლექტივს და კომპანიას. დაშავებულებს კი სრულ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართ 2019 წლამდე არსებულმა მიდგომებმა შედეგად მოგვიტანა უამრავი უბედური შემთხვევა ბოლო 12 წლიწადში. 2019 წელს კი ვთქვით: იმისათვის, რომ შახტებზე უბედურ შემთხვევებს ადგილი აღარ ჰქონდეს, უნდა შეიცვალოს მიდგომები და კომპანიის მიერ შრომის უსაფრთხოების სისტემების მოსანესრიგებლად არაერთი საჭირო ნაბიჯი გადაიდგა.

უბედური შემთხვევების გარეშე განვლილმა სამმა წელმა ნათლად მიგვანიშნა, რომ შახტებში უსაფრთხოდ შრომა სრულიად შესაძლებელი ყოფილა, ხოლო მიმდინარე წლის 30 იანვარს მომხდარმა აფეთქებამ შეგვახსენა, რომ ნახშირის მოპოვების პროცესი ერთ უმცირესს გადაცდომასაც არ გვაპატიებს.

შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების დაცვას ის სპეციფიკა გააჩნია, რომ მხარეთა ჩართულობას ითხოვს. ცალკე აღებული ვერც კომპანია და ვერც დასაქმებული, ვერ შეძლებს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას, თუ ყველა ერთად არ შევთანხმდებით იმაზე, რომ ვიმუშაოთ მხოლოდ წესების მკაცრად დაცვით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჯარისკაცისგან და პოლიციელისგან განსხვავებით, სამუშაო ადგილზე თავგანწირვა არ არის ჩვენი ვალდებულება, პირიქით, ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ სამუშაო ცვლა ისევე ჯანმრთელებმა დავასრულოთ, როგორც დავიწყეთ.

ძალიან კარგია, რომ შრომის ინსპექციამ, ისევე როგორც კომპანიის ადმინისტრაციამ, დადებითად მიიღო საქართველოს პროფკავშირების ინიციატივა, შრომის უსაფრთხების სისტემების ერთობლივი მონიტორინგის მიზნით, მუდმივმოქმედი, ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფი ერთი მხრივ ინტენსიურ მონიტორინგს გაუწევს სამუშაო პროცესის დროს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას და მეორე მხრივ, დიდ ძალისხმევას გასწევს შრომის უსაფრთხოების მიმართ დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებისთვის.

სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია სულ მალე გვექნება, მაგრამ ერთის თქმა ახლავე შემიძლია თამამად: ვერანაირი სამუშაო ჯგუფი, მაკონტროლებელი ორგანო ან კანონმდებლობებში ცვლილებების შეტანა ვერ მოგვცემს ეფექტიან შედეგებს, თუ ჩვენ, ყველანი ერთად არ ვეცდებით წესების უმკაცრესად დაცვას.

იმედს ვიტოვებ, რომ შრომითი პროცესის მონაწილე მხარეებს - დამსაქმებელსა და დასაქმებულებს, ასევე პროფკავშირებს და შრომის ინსპექციას, გამოგვივა სინქრონული და კოორდინირებული მუშაობა, რომლის ხარისხზეც დამოკიდებული იქნება შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა ტყიბულის შახტებზე."

პასუხები თქვენს კითხვებზე

საწარმოს ეფექტიანად განვითარებისთვის, მის ყოველდღიურ საქმიანობაში თითოეული თანამშრომლის ჩართულობა მნიშვნელოვანია.
მეშახტეებმა, მიშა შუღლაძემ, საშა შუღლაძემ და თამაზ ფუტკარაძემ ადმინისტრაციას რამდენიმე აქტუალური კითხვით მიმართეს. კომპანია პასუხობს დასაქმებულების კითხვებს და მადლობას უხდის მათ ჩართულობისთვის. "საქნახშირი" მზად არის მომავალშიც განიხილოს დასაქმებულებისთვის მნიშვნელოვანი საკითები და უპასუხოს მათ კითხვებს.

საბურღი დანადგარის შეძენა გამკვეთის გასაყვანად და მოწინავე ჭაურების დასაბურღად

საბურღ დანადგართან დაკავშირებით კონტრაქტი გაფორმებულია. ამჟამად მიმდინარეობს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

უბნის ამოსაღები ველების უზრუნველყოფა ეფექტიანი განიავების სისტემით

უბნების ამოსაღები ველების განიავების სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად შახტის მთავარი ინჟინრის, ო. ლოვინის ხელმძღვამნელობით კომისია შეიქმნება. კომისია განიხილავს განიავების სისტემასთან დაკავშირებულ ყველა წარმოდგენილ საკითხს და გატარდება დარღვევების აღმოფხვრის ღონისძიებები. აღნიშნული ღნისძიებების მთავარი მიმართულებები იქნება:
- სავენტილაციო მილების მდგომარეობა
- სამთო გამონამუშევრების მდგომარეობა და მათი მზაობა ამოსაღებ ველებში განიავების სისტემის უზრუნველსაყოფად
- საგაზო კონტროლის ხელსაწყოების დამონტაჟების პრინციპი და მდგომარეობა
- დასაქმებულების პასუხისმგებლობა აერო-საგაზო გადამცემების განლაგებაზე; ტუპიკურ გამონამუშევრებში სავენტილაციო მილ-გაყვანილობის კონტროლი, სავენტილაციო მილ-გაყვანილობის მდგომარეობა; მავნე აირების გაზომვა უბნებზე, სტანდარტების შესაბამისად.

დაძაბული ნახშირის ფენების მასივების განტვირთვისთვის გასატარებელი კომპლექსური ღონისძიების და ენდოგენური ხანძრების პროფილაქტიკის საკითხი

დღეს მოქმედი ამოსაღები ველები დამუშავებულია რეგიონალურად. ეს ხორციელდება საველე შტრეკებიდან ჭაბურღილების გადაბურღვით და ნახშრის მასივში მაღალი წნევით წყლის დაჭირხვნით. +175 +275 ჰორიზონტში მიმდინარეობს პირველი ველის მეორე ქვესართულის მომზადების სამუშაოები. სავენტილაციო და საზიდი კვერშლაგების გადაჭრის მომენტისთვის აღებული იქნება სინჯები, რომელთა შემოწმებაც მოხდება ლაბორატორიაში. თუ ტენიანობის მიხედვით შესაბამისი პასუხი არ გვექნება, ფენების დამუშავების დროს, ცალკეულ ფენებში დამატებითი ღონისძებები გატარდება.

ამოსაღებ ველებში, ფენების დამუშავების პროცესში მიმდინარეობს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძებების გატარება. საგებში განთავსებული (შემდგომში დასამუშავებელი) ფენის სავენტილაციო შტრეკებიდან ხდება ჭაბურღილების გადაბურღვა და გამომუშავებულ სივრცეში პროფილაქტიკური ლამის მიწოდება. ვითვალისწინებთ რა, ცალკეული ფენების ინკუბაციის პერიოდს, ყოველ გამომუშავებულ მეორე-მესამე ბლოკს უკეთდება იზოლირება (სასაცობე ზღუდრების მშენებლობა) - ივსება პროფილაქტიკური ლამით, რომელიც ჟანგბადს სივრცეში შესვლის და აალების საშუალებას არ აძლევს. ნებისმიერი ფენის ორივე ფრთის გამომუშავების შემდეგ სავენტილაციო და საზიდ კვერშლაგში ხდება სასაცობე ზღუდრების მშენებლობა და მისი პროფილაქტიკური ლამით ამოვსება. გარდა ამისა, პერიოდულად ხდება პროფილაქტიკური ლამის დამატება.

ამოსაღებ ველებში მტვერდახშობის ეფექტიანობისთვის გასატარებელი ღონისძიებები

მტვრის საწინააღმდეგო ღონისძიებები შემდეგი მიმართულებით მიმდინარეობს: 1. სამთო გამონამუშევრების კედლებიდან მტვრის ჩამორეცხვა, საგები იატაკის მორწყვა. 2. ყოველი ნახშირმომპოვებელი უბნის ბლოკის სავენტილაციო ჰორიზონტზე მოწყობილია თაღური ფორმის მილისაგან დამზადებული სარწყავი საშუალება, რომელიც დახვრეტილია ყოველ სამ სანტიმეტრში (2 მმ ხვრელებით). აფეთქებითი სამუშაოების დაწყების წინ ხდება წყლის ონკანის გაღება. აფეთქების შემდეგ, აღნიშნული წყლის ფარდა არ აძლევს მტვერს გავრცელების საშუალებას. 3. უბანში, ნახშირის გადატვირთვის ადგილებში, კონვეიერიდან კონვეიერზე და კონვეიერიდან ვაგონზე (კონვეიერის მთელ ფართობზე), მოწყობილია სარწყავი, რაც ნახშირის გადატვირთვის დროს მტვერს არ აძლევს გავრცელების საშუალებას. დასამყარებელია მკაცრი კონტროლი, რომ წყლის ონკანის გაღება, საჭიროებისამებრ, მუდმივად ხდებოდეს.

რეზინის ჩექმებით უზრუნველყოფის საკითხი

კომპანიამ უკვე შეიძინა საჭირო რაოდენობის სამუშაო ფეხსაცმელი. მისი საქართველოში ჩამოტანა მარტის თვეში მოხდება.

სასამართლომ ზურაბ სამაკაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ №4 ნახშირმომპოვებელი უბნის ყოფილი უფროსის, ზურაბ სამაკაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული სარჩელით იგი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, განაცდურის ანაზღაურებას და კომპანიისთვის კომპენსაციის დაკისრებას ითხოვდა.

შახტის ზედაპირულ და მიწისქვეშა კომპლექსებში, კომუნიკაციის საშუალებების გამართულ მუშაობაზე „საქნახშირის“ კავშირგაბმულობის განყოფილება ზრუნავს. ამ სამსახურში უკვე წლებია მუშაობს ტარიელ ბუცხრიკიძე, რომელმაც 17 წლის ასაკში დაიწყო შახტში მუშაობა და დღემდე წარმატებით აგრძელებს საქმიანობას. დღეს ის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსის მოადგილეა.

ბატონმა ტარიელმა 1982 წელს "მინდელის" სახელეობის შახტის კავშირგაბმულობის სამსახურში დაიწყო მუშაობა. პარალელურად, ჯერ ტყიბულის ტექნიკურ სასაწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე. განათლებაც და სამუშაო გამოცდილებაც ამ სფეროში მიიღო და ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა.

ტარიელ ბუცხრიკიძე - 17 წლიდან „საქნახშირში“

ტარიელ ბუცხრიკიძე: „ფიზიკის კანონში არსებობს ელექტრო-მამოძრავებელი ძალა. სწორად შახტა წარმოადგენს ელექტრო-მამოძრავებელ ძალას ტყიბულისთვის. ის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მუნიცი-პალიტეტისთვის. ასეა ჩემი ოჯახისთვის და მთელი ქალაქისთვის. წლების განმავლობაში, ჩემი ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო შახტში მიღებული ჰონორარია. მიხარია, რომ ეს ელექტრო-მამოძარვებელი ძალა არსებობს და მას კარგი ხელმძღვანელობა ჰყავს.“

ტარიელ ბუცხრიკიძის მეუღლე ნატო ბიბილაშვილი პროფესიით პედაგოგია. ის ტყიბულის პირველ საჯარო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად მუშაობს. მათი შვილი, ლევან ბუცხრიკიძე წარმატებული სტუდენტია, რომელმაც სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში სრული სახელმწიფო დაფინასებით ჩაირიცხა.

ბატონი ტარიელი შვილის წარმატების ამბავს ყოველთვის ემოციით იხსენებს: „შახტში, სადისპეჩერო ოთახში ვმუშაობდი როდესაც შვილმა დამირეკა და უნივერსიტეტში სწავლის 100% გრანტის მოპოვების შესახებ მითხრა. ეს ამბავი ჩემთვის იმდენად ემოციური იყო, რომ სიხარულისგან ტირილი დავიწყე. მადლობა უფალს ამ ბედნიერებისთვის. შახტა ძალიან მიყვარს, წლებია აქ ვსაქმიანობ, საუკეთესო ადამიანების გვერდით. ვისურვებდი, რომ წარმატებულად გააგრძელოს კომპანიამ საქმიანობა, კიდევ უფრო განვითარდეს და გაფართოვდეს სამთო დარგი ჩვენს ქალაქში.

ლევან ბუცხრიკიძე: „ოქროს მედლის მიღება ჩემთვის ძალიან დიდი სიხარული იყო. რა თქმა უნდა, მეამაყება და ვფიქრობ, რომ ამით ფასდება ადამიანის ის დიდი შრომა, რასაც 12 წლის მანძილზე გასწევს სკოლაში.

ოქროს მედლის მიღებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემმა ოჯახმა - დედამ, მამამ. ასევე სკოლამ, მასწავლებლებმა, სკოლის დირექციამ. ჩემი წარმატება მათი დამსახურებაც არის და ამ დიდი ამაგისთვის მადლობა მინდა გადავუხადო მათ.

სკოლის დასრულების შემდეგ, სახელმწიფოს სრული დაფინასებით ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. მაკრო ეკონომიკის მიმართულებაზე ვსწავლობ, ამჟამად მესამე კურსზე გახლავართ.

მაგისტრატურაზე ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. სწავლის დასრულების შემდეგ ჩემი პროფესიით მსურს საქმიანობის გაგრძლება. იმედი მაქვს, რომ დასახულ მიზნებს მივაღწევ.

გასული წელს სტაჟირება „საქნახშირის“ საფინანსო სამსახურში გავიარე, ძალიან სასიამოვნო გარემო დამხვდა. თანამშრომლები დიდ ყურადღებას იჩენდნენ ჩემს მიმართ. მათგან საფინანსო საკითხების შესახებ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება მივიღე. მადლობა კომპანიას და აღნიშნული სამსახურის პროფესიონალ გუნდს. წარმაატებას ვუსურვებ "საქნახშირს" და კომპანიაში დასაქმებულ ყველა ადამიანს."

გაიცანით მომარაგების განყოფილების თანამშრომლები

"საქნახშირის" ყველა განყოფილების მატერიალურ -ტექნიკურ საჭიროებებს მომარაგების სამსახური აკმაყოფილებს. აღნიშნულ სამსახურს რამდენიმე წელია ივან მაკაროვი ხელმძღვანელობს, ზვიად ჭანტურიძესთან (განყოფილების უფროსის მოადგილე) და ბექა ბალავაძესთან ერთად (განყოფილების უფროსის მოადგილე სამთო-საშახტო დანადგარების დარგში). ამავე განყოფილებაში მუშაობენ ნათია სირბილაძე და გაგა გვენეტაძეც. ისინი მომარაგების განყოფილების სპეციალისტები არიან.

ზვიად ჭანტურიძე: „ჩვენი სამსახური „საქნახშირს" ძირითადი ინვენტარითა და საჭირო მასალებით ამარაგებს. მათი შეძენა ხდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ. საქმიანი ურთიერთობა გვაქვს ჩინეთთან, რუსეთთან, უკრაინასთან, თურქეთთან. ფეთქით მასალებს ევროპაში ვყიდულობთ.

ყველა საჭირო მასალის შეძენა მიწიქვეშა კომპლექსისთვის, ადმინისტრაციისთვის, გამამდიდრებელი ფაბრიკისთვის თუ ავტო-სატრანსპორტო განყოფილებისთვის, ჩვენ მიერ, კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ხორციელდება.

ჩვენი ძირითადი საქმიანობა ამ მასალების მოძიებაა. შემდეგ კი ფასის, ხარისხის და მოწოდების პირობების ანალიზის საფუძველზე, საუკეთესო პროდუქტის საუკეთესო ფასად შეძენა და რაც შეიძლება მოკლე ვადებში ტყიბულამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფაა. ჩვენ ვაკეთებთ განბაჟებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. ასევე უზრუნველვყოფთ ფეთქითი მასალების შეძენასთან და ამ მასალების დახარისხებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ეს არის ჩვენ ძირითადი საქმიანობის მცირე მონახაზი. ამ ყველაფრის სწორად მართვისთვის დიდი შრომა, საქმის კარგად ცოდნა და პროფესიონალიზმია საჭირო.

ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ, ეტაპობრივად მიმდნარეობს ინვესტიციების განხილვა, რათა სწორად მოხდეს რესურსის განკარგვა, მასალების შეძენა და მიწოდება. „საქნახშირი" მუდმივად ზრუნავს ხარისხიანი მასალების შეძენაზე, რაც უფრო ეფექტიანს ხდის კომპანიის საქმიანობას."

„საქნახშირის“ სასწავლო პუნქტი

„საქნახშირის" სასწვლო პუნქტი უკვე მრავალი წელია ფუნქციობს და მის ძირითად მოვალეობას დასაქმებულებისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის გაღრმავება წარმოადგენს. სწორედ აქ გადის გადამზადებას ყველა, ვინც შახტში იწყებს მუშაობას. თეორიული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მეშახტეები პრაქტიკულ სამუშაოს შახტში, სხვადასხვა უბანში გადიან. ელმავლის მემანქანეები, ამფეთქებლები, ამწე მანქანის მემანქანეები, გვირაბგამყვანები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები სწორედ სასწავლო პუნქტში ეცნობიან მთლიან საშახტო სისტემას, უსაფრთხოების წესებს და მათი საქმიანობისთვის მნიშნელოვან სხვა საკითხებს.

სასწავლო პუნქტს მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალი მეშახტე, შრომის უსაფრთხოების ინსპექტორი, გოჩა კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. ბატონი გოჩა მეშახტეების სწავლების პროცესს დიდი პასუხისმგებლობით ახორციელებს და თანამშრომლებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ენთუზიაზმით უზიარებს. ცოტა ხნის წინ, საწარმოში დასაქმებულმა ათმა მეშახტემ ელმავლის მართვის თეორიული სწავლების კურსი წარმატებით გაიარა.

გოჩა კუბლაშვილი: „სასწავლო პუნქტის დანიშნულება, პირველ რიგში, ახალი კადრებისთვის უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე საშახტო სისტემის გაცნობა და შახტის გეოლოგიურად შესწავლაა. ყველაზე მთავარი მაინც უსაფრთხოების წესების შესწავლა გახლავთ. მთავარი, რაც ყველამ უნდა იცოდეს, უსაფრთხოების წესების დაცვაა. ჩვენს სასწავლო ცენტრში ჯერ უსაფრთხოების წესების გაცნობა ხდება, ხოლო ამის შემდეგ, პროფესიის მიხედვით შესაბამისი სწავლება მიმდინარეობს. მეშახტეები თეორიულ სწავლებას პუნქტში გადიან, პრაქტიკულ ნაწილს კი უშუალოდ შახტში. „საქნახშირის" ძირითადი მიზანი საწარმოში დასაქმებულების უსაფრთხოებაა. ყველა დასაქმებული ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების წესები, არ შეუქმნას საფრთხე თავის თავს და სხვებს."

იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ზვიად შალამბერიძის 2021 წლის შეჯამება

2021 წელი იმერეთის რეგიონისთვის საინტერესო, წარმატებული და ნაყოფიერი იყო. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის სხვადასხვა დაფინანსების ფონდებიდან 800 000 000 ლარამდე თანხის მობილიზება მოხდა, რითაც 2 368 პროექტი განხორციელდა. მათ შორის მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში, ზვიად შალამბერიძე გასულ წელს აჯამებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებული პროექტები

2021 წელს დასრულდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილის 5 კილომეტრიანი გზისა და ცხრაჯვარის სალოცავთან მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია, ასევე, ზემო იმერეთი - რაჭის (საჩხერე - ონის) დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. აღნიშნულ პროექტზე ჯამში 111 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. წელს განხორციელდა ძეძილეთი - გორდი - ნოღას გზის რეაბილიტაცია. ასევე, მდინარე ცხენისწყალზე და მდინარე მეჭიაზე, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოები. პროექტის ღირებულება 16 მლნ ლარზე მეტი იყო. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, 2021 წელს, ქ. ზესტაფონში დასრულდა შათირიშვილიმელქაძე-მაღლაკელიძისა და აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია.

ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 2021 წელს რიკოთის მაგისტრალის პირველ, 2 კილომეტრიან, ორზოლიან ხევი - უბისას მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა. ახალი გზის მონაკვეთი 6 ხიდსა და 3 გვირაბს მოიცავს. ამჟამად მოძრაობა გახსნილია 2 კილომეტრიანი 4 ზოლიანი მონაკვეთის 2 ზოლზე (ცალ მიმართულებაზე), ხოლო პარალელურად, არსებული 2 ზოლიანი გზის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება. რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში ჯამში 51.6 კმ-მდე გზა, 96 ხიდი და 53 გვირაბი აშენდება.

სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია

იმერეთის რეგიონში სასკოლო ინფრასტრუქტურის მიმართულებითაც მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. 2021 წელს რეგიონში 10 ახალი სკოლის მშენებლობა და 23 სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობდა, საიდანაც 15 სკოლა უკვე დასრულდა. საერთო ჯამში, სკოლების სრულ რეაბილიტაცია-მშენებლობაზე 83 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

ჭიათურის საბაგირო გზის რეაბილიტაცია

აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ჭიათურაში საბაგირო გზის რეაბილიტაციაზე. ეს არის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საბაგირო სადგურებს და გზებს. საბაგირო გზების საერთო სიგრძე 3428 მეტრია და მასზე თანამედროვე სტანდარტების 8 გონდოლა მოძრაობს. გარდა იმისა, რომ ეს მოსახლეობისთვის გადაადგილების კარგი საშუალებაა, საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ტურისტებისთვისაც. ჭიათურაში უკვე დაიწყო 2 ძველი საბაგიროს რეაბილიტაცია. მათ ფაქტობრივად შეუნარჩუნდებათ ძველი იერსახე და ამასთან, იქნება სრულიად უსაფრთხო.

პროგრამა ,,განახლებული რეგიონები“

პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის ,,განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება ფასადებს, სკვერებს, საფეხმავლო ბილიკებს, საცხოვრებელი სახლების ღობეებსა და ჭიშკრებს. „განახლებული რეგიონების“ პროგრამა 4 წლიანია. ამჟამად მისი პირველი ეტაპით დაგეგმილი პროექტების შესრულება მიმდინარეობს, რომლის ღირებულება 75 მილიონ ლარს შეადგენს. გარკვეულ მუნიციპალიტეტებში სამუშაოები დასრულების ეტაპზეა და პროექტის შედეგებიც უკვე თვალსაჩნოა.

საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამა

საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ხორციელდება და უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს რეგიონების განვითარების კუთხით. იმერეთი ერთ-ერთია იმ 4 რეგიონიდან, სადაც ამ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარეობს. ფაქტობრივად, ამ მიმართულებით, 2021-2022 წლებში იმერეთში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 69 656 927 ლარია გამოყოფილი, აქედან ნაწილი უკვე ათვისებულია. 2022 წელს განსახორციელებელი იქნება ძირითადი პროექტები, რაც მუნიციპალიტეტებს სხვადასხვა მიმართულებით განვითარების საშუალებას მისცემს. ეს შეიძლება იყოს ურბანული განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა, ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება, რაც ადგილობრივ ბიზნესს კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღწევაში დაეხმარება. გარდა ამისა, უკვე დაგეგმილია ძალიან საინტერესო პროექტები, რომელთა განხორციელებაც 2022 წელს დაიწყება. აღნიშნული პროგრამის დახმარებით მუნიციპალიტეტში საინტერესო ურბანულ, ტურისტულ და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ პროექტებს განვახორციელებთ.

წელს, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პრიორიტეტებია: ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე, უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

სხვადასხვა მიმართულებები

2021 წელს რეგიონში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობდა წყალმომარაგების, გაზიფიცირების, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით. იუსტიციის სახლი აშენდა წყალტუბოში, მშენებლობა მიმდინარეობს კიდევ 3 მუნიციპალიტეტში.

გარდა ამისა, 2021 წელს, წყალტუბოში ბინა გადავეცით 560 დევნილ ოჯახს. ქუთაისში, ბოლო ორი წლის მანძილზე, საცხოვრებელი ფართით 394 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა, ხოლო მომავალ წელს, კიდევ 800 ოჯახის დაკმაყოფილება იგეგმება.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა, მუნიციპალურ ტრანსპორტს ეხება. ქუთაისში ტრანსპორტის პრობლემა ფაქტობრივად აღმოიფხვრა - ქალაქში ახლა უკვე 60 ერთეული ახალი ავტობუსი მოძრაობს და მგზავრების კომფორტულ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

განახლებული საერთაშორისო აეროპორტი ქუთაისში

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანი ობიექტია ქუთაისის განვითარებისთვის. 2019 წელს, მგზავრთა ნაკადი გაიზარდა და საჭირო გახდა აეროპორტის გაფართოება. ამ ეტაპისთვის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დასრულებულია შიდა ინტერიერის მოწყობა, გაერთიანდა ძველი და ახალი ტერმინალები. შედეგად, აეროპორტს აქვს ერთიანი ტერმინალი, მოფრენისა და გაფრენის დარბაზებით და ყველა იმ აღჭურვილობით, რომელიც მისი შეუფერხებელი ოპერირებისთვის არის საჭირო. აეროპორტს აქვს 7 გასასვლელი და საათში 1200-ზე მეტი მგზავრის შეუფერხებლად გატარების შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამტარუნარიანობა ოთხჯერ გაიზარდა. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, მგზავრთა გამტარუნარიანობა წელიწადში ორნახევარ მილიონამდე გაიზრდება. ამ ეტაპზე, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან პირდაპირი რეგულარული რეისები ევროპისა და აზიის 24 მიმართულებით სრულდება.



კოვიდპანდემიის მართვა

გასული წლის მსგავსად, 2022 წლის მთავარ გამოწვევად კოვიდ პანდემია რჩება. ამ მიმართულებით, ისევე როგორც როგორც მთელ საქართველოში, იმერეთის რეგიონშიც პანდემიის მართვას და საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციების დაცვას განსკუთრებული ყურადღება დაეთმო. იმერეთი ამ მიმართულებითაც გამორჩეულია - ჩვენ შევქმენით მართვის უნიკალური სისტემა, რომელიც წელს კიდევ უფრო დაიხვეწა და ამ პროცესების უფრო ეფექტიანად მართვის საშუალება მოგვცა. COVID-19-თან ბრძოლაში ერთ-ერთი მძლავრი საშუალება ვაქცინაციაა და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას, ჩავერთოთ მასობრივი იმუნიზაციის პროცესში, შევამციროთ პანდემიის რისკები და დავიცვათ ჩვენს გვერდით მყოფი ადამიანები.

პოლიტიკური 2021 წელი

2021 წელი პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. მოგეხსენებათ, წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომელიც ოპოზიციის მიერ რეფერენდუმად იყო მონათლული, მაგრამ რეალურად მმართველმა გუნდმა ღირსეულად გაიმარჯვა. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა ენდობა ჩვენს გუნდს და ჩვენი სამოქმედო გეგმა მათთვის მისაღებია.

2022 წელს დაგეგმილი პროექტები

2022 წელს კიდევ უფრო საინტერესო პროექტების განხორციელება გვაქვს დაგეგმილი და რა თქმა უნდა, მუნიციპალური ცენტრებისა და სოფლების წყალმომარაგება მთავარი პრიორიტეტია. ეს ჩვენი მთავრობის ამბიციური გეგმაა და ფაქტობრივად, 2025 წლისთვის ეს გეგმა 100% უნდა იყოს შესრულებული. აქტიურად გაგრძელდება ურბანული განახლების პროექტების განხორციელება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ჩვენს ქალაქებს.

რა თქმა უნდა, გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაც. ყველა სოფელში კაპიტალური, ცენტრალური გზის მიყვანა ჩვენი კიდევ ერთი ამბიციური გეგმაა და შეიძლება ითქვას, რომ იმერეთის სოფლების დაახლოებით 80% ცენტრალური მაგისტრალი უკვე მიყვანილია. ახლა უკვე საუბნო გზებზე გადავდივართ. ჩვენი გეგმაა, რომ ეს მიმართულება მაქსიმალურად იყოს ათვისებული. კიდევ ერთი მთავარი პრიორიტეტი და გეგმა რეგიონის ყველა სოფლის გაზიფიცირებაა. რეგიონში არის მუნიციპალიტეტები, სადაც ბუნებრივი აირით უკვე ყველა სოფელია უზრუნველყოფილი.

განსაკუთრებული ახალი წელი ტყიბულში

ვაქცინაციის კამპანია

იმუნიზაციის პოპულარიზაციისა და ვაქცინაციის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით, ტყიბულში, საწირესა და ორპირში იმუნიზაციის პროცესი ორგანიზებულად განხორციელდა. ამცრელი ბრიგადები მოქალაქეების ვაქცინაციას ადგილზე უზრუნველყოფდნენ.

ვაქცინაციის კამპანია აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნის ყველა რეგიონში, რაც სოფლად მცხოვრები 50 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ადგილზე აცრას გულისხმობს. მიმდინარე აქტივობა, ავადობის შემცირებასა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილებას განაპირობებს.

სწორედ ამ ასაკის მოსახლეობისათვის მოქმედებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მიღებული ფულადი წახალისების პროგრამა, რომელიც პირველ აცრაზე 200 ლარის, ხოლო ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში, 100 ლარის მიღებას გულისხმობს.

სამედიცინო პუნქტებში, კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობის იმუნიზაციის სრულყოფილად განხორციელების ორგანიზებას ტყიბულის ადგილობრივი თვითმმართველობა უწევს, პროცესში აქტიურადაა ჩართული აიპ-ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი.

სისხლის უანგარო დონაციის აქცია

„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ - ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, პედაგოგებმა და ადგილობრივებმა სისხლი გაიღეს.

სისხლის ბანკის მარაგის შესავსებად დონაციის აქცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა, რომელიც დონორთა მაღალი დენადობით გამოირჩეოდა. სისხლის აღების პროცედურები იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სისხლის ბანკის ექიმებმა ჩაატარეს.

ტყიბულს მალე თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლა ექნება

ტყიბულში 150 მოსწავლეზე გათვლილი N2 საჯარო სკოლის მშენებლობა სრულდება.

სასწავლო შენობაში საკლასო და დირექციის ოთახების გარდა, გათვალისწინებულია კვების ბლოკი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა წიგნსაცავით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და მანდატურის ოთახი. სკოლაში, ასევე, მოეწყო თანამედროვე გათბობის სისტემა და ღია სპორტული მოედანი. შენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სრულად ადაპტირებულია.

სკოლა ძველი შენობის ადგილზე აშენდა, სადაც ავარიული შენობის დემონტაჟი განხორციელდა. ახალ სკოლაში ამჟამად საგანმანათლებლო დანესებულების შესაბამისი სასკოლო ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვის პროცესი მიმდინარეობს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სკოლა, მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს თანამედროვე გარემოში მიიღებს.

პროექტი, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა, რომლისთვისაც 2 534 362 ლარი დაიხარჯა.

დუმბაძის ქუჩაზე ახალი სპორტული მოედანი გაიხსნა

დუმბაძის ქუჩაზე, ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა. თანამედროვე სპორტული მოედანი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ ბავშვებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გახსნეს. „ძიძიგურის სახელობის შახტის“ მიმდებარედ, სპორტული მოედნის მოწყობის გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მერიამ ახალგაზრდების თხოვნის საფუძველზე მიიღო. პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 115 300 ლარი გამოიყო, რომლის ფარგლებში მოეწყო ხელოვნური საფარი, დამონტაჟდა კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარებები და გარე განათების სისტემა. მოედანი, ასევე, შემოისაზღვრა ბადეპანელებით.

„ავიცრათ ერთმანეთისთვის“ - კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები მოეწყო

ვაქცინაციის კამპანიის და მასთან დაკავშირებული წამახალისებელი პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით ტყიბულში მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა.

პირველი შეხვდრა მუნიციპალიტეტის თეატრის დარბაზში შედგა, რომელსაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობაც დაესწრო.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა მთავრობის წამახალისებელი კამპანიის შესახებ ისაუბრა, რომელიც 50 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეებზე პირველადად აცრის შემთხვევაში 200 ლარიან ერთჯერად დანამატს ითვალისწინებს, ხოლო ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში დამატებით 100 ლარს მიიღებენ. მერმა აღნიშნა, რომ კამპანიის მიზანი მოსახლეობის სრულად ინფორმირებაა. მისი ჩართულობით, სპეციალური ჯგუფები ცალკეულ ლოკაციებზე იმუშავებენ.

შეხვედრის მონაწილეებს სპეციალური საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ. პანდემიასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და იმუნიზაციის აუცილებლობაზე, ასევე ისაუბრეს ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელმა, მადონა ქასრაძემ, სსიპ ''საგანგებო სიტუაციების კორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ტყიბულის რაიონულმა მენეჯერმა მაგდა კობახიძემ და სს ''ევექსის კლინიკების“ ტყიბულის კლინიკის მენეჯერმა, იური ელიაშვილმა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეტლები გადაეცათ

მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ იოსებ რობაქიძემ და მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლებმა ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს ეტლები გადასცეს და სხვა საჭიროებებზე გაესაუბრნენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 13 პირის ეტლით უზუნველყოფა საერთაშორისო ასოციაციის ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მხარდაჭერითა და თანადგომით განხორციელდა, რომელთანაც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია წლებია თანამშრომლობს.

“საქნახშირი” ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 2022 წლის 30 იანვარს მომხდარი აფეთქებისას დაღუპული მეშახტის, ჭაბუკა სოფრომაძის გარდაცვალების გამო. უსამძიმრებს მის ოჯახის წევრებს, ახლობლებს და მეგობრებს.



ლეგენდარული ქართველი სპორტსმენი, ტყიბულის საპატიო მოქალაქე, ქეთევან ლოსაბერიძე 76 წლის ასაკში გარდაიცვალა

ქეთევან ლოსაბერიძე 1980 წელს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული გახდა. გარდა ამისა, იყო მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1972, IV ადგილი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 78), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 1979) და ხუთგზის მესამე პრიზიორი (1971, 1972, 1974, 1975, 1981), სსრკ თასის მფლობელი (1972, 1978), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979), მილანის (1975, 1980), ლოძის (1976), კიოლნისა (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. ქეთევან ლოსაბერიძეს მინიჭებული აქვს სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, იყო საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1980), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. 2002 - 2005 წლებში ის საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტიც იყო.

“საქნახშირი” მწუხარებას გამოთქვამს ქეთევან ლოსაბერიძის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

რამაზ იამანიძე

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების
ცენტრის მორიგე ექიმი

#მეავიცერი

„ვირუსი გადავიტანე ძალიან მძიმე ფორმით, ამიტომ რეინფიცირება ძალიან დიდ რისკს წარმოადგენს სიცოცხლისთვის. აცრა გვიცავს სიკვდილისგან და მძიმე გართულებებისგან."

მანანა წულუკიძე

ემერჯენსის ექიმი

#მეავიცერი

„მე ავიცერი, რათა დავიცვა როგორც ჩემი თავი, ისე გარშემომყოფები."

ლია ვერულაშვილი

სურსათის ეროვნული სააგენტო

#მეავიცერი

„მე ავიცერი სოციალური პასუხისმგებლობის გამო. ვაქცინაცია გვიცავს!"

გრიგოლ სოფრომაძე

ძიუდოს მწვრთნელი

#მეავიცერი

„მე ავიცერი რომ დავიცვა სხვისი სიცოცხლე."

ჯემალ ბოცვაძე

დამსახურებული მეშახტე,
საქართველოს დამსახურებული
ქორეოგრაფი, პედაგოგი

#მეავიცერი

„მე ავიცერი ჩემი და ჩემი ბავშვების უსაფრთხოებისთვის."

ოლეგ ფანჩულიძე

საქართველოს კუნგ-ფუს ეროვნული
ფედერაციის პრეზიდენტი, ტყიბულის
კუნგ-ფუს სკოლის ხელმძღვანელი

#მეავიცერი

„ავიცერი რათა ჩვენს შვილებს აღარ დასჭირდეთ აცრა. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს."

#მეავიცერი

გიორგი ჯუმბურიძე

მეშახტე

#მეავიცერი

„ნებისმიერი ადამიანი საკუთარ და ირგვლივ მყოფთა ჯანმრთელობაზე უნდა ზრუნავდეს. გარდა ამისა, ჩემი მოქალაქეობრივი ვალია იმ ადამიანებზეც ვიფიქრო, ვისთან ერთადაც ვმუშაობ. იმიტომ ავიცერი, რომ საფრთხე არ შევუქმნა სხვებს."



ფატიმა რობაქიძე

ტყიბულის N6 საჯარო
სკოლის მასწავლებელი

#მეავიცერი

„გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს. ავიცრაათ, რომ დროულად დავუბრუნდეთ ცხოვრების ნორმალურ წესს."

მაკა კობახიძე

„საქნახშირის" ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი

#მეავიცერი

„მე ავიცერი, რადგან ვფიქრობ, ვაქცინა არის უკეთესი მომავლის და ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნების ყველაზე რეალური შესაძლებლობა."

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

იანვარი-თებერვალი | 2022 | №15

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის"
კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri